



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება

ქალაქი ახალციხე

N 110

15/11/2019

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის საჯარო განხილვის მიზნით ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 91-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 თავის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ახალციხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის საჯარო განხილვის მიზნით.
2. დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ახალციხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტსა და ახალციხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტზე წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები და წინადადებები ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არაუგვიანეს 2019 წლის 25 ნოემბრისა. მოსაზრებების წარდგენისას, პირი უფლებამოსილია არ მიუთითოს თავისი ვინაობა.
3. გამოიცეს შესაბამისი ცნობა.
4. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია-ცნობა, ეს ბრძანება, ახალციხის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი და ახალციხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტი გავრცელდეს სოციალური ქსელის Facebook.com მეშვეობით, ახალციხის მუნიციპალიტეტის გვერდზე <http://akhaltikhe.gov.ge/> და განცხადების სტენდის საშუალებით.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ ახალციხე, მეზღაღიშვილის ქ. №62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

